

შპს ჯორჯიანმედი

ს/კ 200207819

მისამართი: თბილისი, დიდი დილომი, მირიან მეფის 13

ელ.ფოსტა: georgianmedi@yahoo.com

ტელ: 2595088

**ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31
დეკემბრისთვის (ლარში)**

1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ

შპს “ჯორჯიანმედი” რეგისტრირებულია “მეწარმეთაშესახებ” კანონის შესაბამისად ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 18 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ნაძალადევის რ-ნი, ნაგომარის ქ. 38.

კომპანიის ფაქტიური მისამართია: თბილისი, დიდი დილომი, მირიან მეფის 13

კომპანიის დამფუძნებლები არიან: გიორგი კაკუშაძე-50% და გივი სვანაძე-50%.

2021 წლიდან 100% დამფუძნებელი არის გიორგი კაკუშაძე, ხოლო დირექტორი – ირაკლი კაკუშაძე.

2021 წლიდან კომპანია არის დამფუძნებელი შემდეგი კომპანიების: შპს არომა - 100%, შპს არომა კი არის 100% მფლობელი შპს ხილარის.

ძირითადი საქმიანობა

საცალო და საბითუმო ვაჭრობა სამედიცინო საქონელით.

1ა. შპს არომა- ს/კ 400144152, მის: თბილისი, მირიან მეფის 13,

ძირითადი საქმიანობა

ხილის წვენების წარმოება და რეალიზაცია

კომპანიას არ აქვს 2021 წელს განხორციელებული საქმიანობა.

1ბ. შპს ხილარი – ს/კ 400169875

შპს “ხილარი” რეგისტრირებულია “მეწარმეთაშესახებ” კანონის შესაბამისად ქ. თბილისის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 15 აპრილს. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, იყალთოს ქ 26, ბინა 13

კომპანიის ფაქტიური მისამართია: გორი, სოფ. შაეშვები

კომპანიის დამფუძნებელი არის: 100 %-ანი წილით შპს არომა ს/კ 400144152

ძირითადი საქმიანობა

ხილის წვენების წარმოება და რეალიზაცია

კომპანიის დირექტორია: თამაზ კაკუშაძე პ/ნ 01019018766

ელ.ფოსტა: kakushadzetazo@gmail.com

ტელ: 551855866

2. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციის პერიოდს 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2.2. ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებს და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების და ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

2.3. ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

შპს ჯორჯისნმედის ბუღალტრული აღრიცხვა ხდება ელექტრონულ-საბუღალტრო პროგრამაში "ინფო-ბუღალტერი", ხოლო საწყობის აღრიცხვა – პროგრამა აპექსში. საწარმო მიეკუთვნება მე-4 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს ანგარიშგებასთან.

შპს ხილარის ბუღალტრული აღრიცხვა ხდება ელექტრონულ-საბუღალტრო პროგრამაში „ორისი“.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული პირვანდელი ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. კომპანია აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათ მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს არსებულ ნაშთებს ეროვნულ ვალუტაში საღაროში და ასევე ნაღდ ფულს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საწარმოში მოქმედებს საღაროს სისტემა.

შპს ჯორჯიანმედი

საღარო – 01.01.2021 - 4508 ლ

31.12.2021 - 9640 ლ

საბანკო ანგარიშები – ლარში- 01.01.2021 - 1423312 ლ

31.12.2021 - 81389 ლ

საბანკო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში– 01.01.2021 –14681.36 დოლ - 48107 ლ

6.29 ევრო- 23 ლ

31.12.2021 – 26687.41 დოლ – 82443.21 ლ

2.23 ევრო- 9.33 ლ

სულ ფული და ფულადი ექვივალენტები -01.01.2021 – 1475951 ლ

31.12.2021 – 173481 ლ

შპს ხილარი

საღარო - 01.01.2021- 0ლ

31.12.2021- 0ლ

საბანკო ანგარიშები - ლარში- 01.01.2021- 1400 ლ

31.12.2021- 10031 ლ

საბანკო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში- 01.01.2021-0 დოლ - 0ლ

0 ევრო- 0 ლ

31.12.2021- 0 დოლ -0 ლ

0 ევრო- 0 ლ

სულ ფული და ფულადი ექვივალენტები -01.01.2021 - 1400 ლ

31.12.2021 - 10031 ლ

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ დამკვეთს მიაწოდა გარკვეული სახის საქონელი. აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება. შესაბამისად მენეჯმენტი არ ახორციელებს მათ დარეზერვებას პერიოდის ბოლოს.

შპს ჯორჯიანმედი

სავაჭრო მოთხოვნები 01.01.2021 - 637330

31.12.2021 - 455521

შპს ხილარი

სავაჭრო მოთხოვნები 01.01.2021 - 32455

31.12.2021 - 83050

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგებისა და შესაბამის შემთხვევებში იმ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა მათ შეძენაზე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ბალანსზე რიცხული მარაგები არ წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს და არის სწრაფად ბრუნვადი, რის გამოც არ არის იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. მარაგებში აისახება: საქონელი, საწვავი, ა/მანქანის ნაწილები და სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი.

შპს ჯორჯიანმელი

საქონლის ნაშთი 01.01.2021 – 810495

31.12.2021 – 1064341

შპს ხილარი

საქონლის ნაშთი 01.01.2021 – 254305

31.12.2021 – 465878

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს, შესყიდვის არა ანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისთვის ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია:

1. შენობებისთვის 20 წელი,

2. ავტომატებისთვის 5 წელი,
3. საოფისე აღჭურვილობა- 5 წელი და კომპიუტერული ტექნიკისთვის -5 წელი,
4. ავეჯისთვის - 5 წელი.

შპს ჯორჯიანმედი

პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ცხრილი:

	შენიშვნა	კავშირგ.	კომპ.ტექ.	ავეჯი	ინვენტ.	ავტომატ.
საწყისიღირ.	115224	186	6311	2829	5156	83398
დაგროვილი ცვეთა	40328	139	4001	2829	4725	54704
01.01.2021	74796	47	2310	0	431	28694
პერიოდის ცვეთა	5761	37	510	0	127	12609
შეძენა	0	0	2287	0	1016	27398
31.12.2021	69135	10	1800	0	304	16085

შპს ხილარი

პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ცხრილი:

	შენიშვნა	მანქანა დანადგარები	მიწა	ავეჯი	ინვენტ.	ავტომატ.
საწყისიღირ.	298496	841965	4056	6730	5078	16405
დაგროვილიცვეთა	20350	206612	0	3067	817	7434
01.01.2021	278146	635353	4056	3663	4261	8971
პერიოდისცვეთა	7828	78623		1101	1200	3281
შეძენა	325336	105014	21000		1470	
31.12.2021	595654	661745	25056	2562	4531	5690

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის საპროცენტო განაკვეთი შეაგნეს 15%-ს.

შპს ჯორჯიანმედი

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას – პროგრამა აპექსი.

საწყისილირ.	423
დაგროვილიცვეთა	423
01.01.2021	0
პერიოდისცვეთა	0
31.12.2021	0

შპს ხილარი

ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები მოიცავს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას – აისო სერტიფიკატი

საწყისილირ.	20269
დაგროვილიცვეთა	6259
01.01.2021	14010
შეძენა	9980
პერიოდისცვეთა	14010
31.12.2021	9980

სავაჭრო ვალდებულებები და მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა ყოველდღიური საქმიანობის პირობებში, მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისათვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია 1 წლის ვადაში ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არა მიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, კერძოდ საწესდებო თანხის გაზრდა და შემცირება მოხდება კომპანიის ფინანსური საჭიროებისამებრ.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა.

შპს ჯორჯიანმედში საანგარიშო პერიოდში გაცემულია დამფუძნებელზე 15500ლ დივიდენდი, რომელიც ეკუთვნის 2017 წლის შემდეგ გასაცემ დივიდენდებს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება საქონელის დამკვეთებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ საქონელზე და მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ს ჩათვლა ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ საქონელზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ს ხარჯზე დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე.

შპს ჯორჯიანმედის ამ პერიოდის შემოსავლები მოიცავს დასაბეგრ და დაუბეგრავი მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს, რომლებზეც ხდება პროპორციული ჩათვლები და დეკლარაციები წარდგენილია შესაბამისი პროპორციის გამოყენებით.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული საქონლის თვითღირებულება

ყველა შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, საიდანაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება საწარმოში. შემოსავლების შეფასება ხდება რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გათვალისწინებით.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილი მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს.

შპს ჯორჯიანმედი

31.12.2021 - სთვის შემოსავალი რეალიზაციიდან დღგ გარეშე- 1514232 ლ

აქედან დაუბეგრავი შემოსავალი - 1031078 ლ

დასაბეგრი = 570121

გაყიდული მარაგის თვითღირებულება - 1149433

სულ საოპერაციო შემოსავალი დღგ-თი - 1601199

შპს ხილარი

31.12.2021-სთვის შემოსავალი რეალიზაციიდან დღგ გარეშე- 430179 ლ

გაყიდული მარაგის თვითღირებულება - 357400

შულ საოპერაციო შემოსავალი დღგ-თი - 507611

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, შვებულებისა და ბონუსების დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

შპს ჯორჯიანმედი

31.12.2021 –სთვის გაწეული ხარჯები:

რეკლამა -	798
ტრანსპორტირება -	6499
ხელფასი -	151695
მომსახურების ანაზღაურება-	17145
იჯარა -	3500
საოფისე ინვენტარი -	58
საკანცელარიო -	603
ქონების გადასახადის ხარჯი -	1116
მივლინების -	915
კომპიუტერის -	300
კომუნიკაციის -	1770
საწვავის -	28735
დაზღვევის -	3438
ძს ცვეთა -	19088
საბანკო -	3595
წარმომადგენლობითი -	460
რემონტი -	10166
გარანტიის საკომისიო -	7657
სხვა ადმინ. ხარჯი -	28127
საპენსიო -	2202
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები -	287867

შპს ხილარი

ხელფასი -	32700
იჯარა -	625
საკანცელარიო -	187
ქონების გადასახადის ხარჯი	5805
კომპიუტერის -	868
კომუნიკაციის-	1952
საწვავის -	6733
დაზღვევის -	717
ძს ცვეთა -	4128
საბანკო-	1845
რემონტი	282
სხვა ადმინ. ხარჯი -	23649
საპენსიო -	1667
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები -	81158

შპს ჯორჯიანმედი - კონსოლიდირებული ანგარიშსწორება - 2021 წ.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	183512	2622974	965261
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	538571	1219140	1334773
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	83127
მზა პროდუქცია	1573603	810495	908624
სხვა	43384	0	0
საინვესტიციო ქონება	1530219	810495	908624
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	121135	920580	775431
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	42
ძირითადი საშუალებები	1391954	791414	847969
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	1795982	1025139	318300
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	552332	1221054
სულ აქტივები	5604757	7942074	6454581
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	310748	241316	190777
ანარიცხები	1655	0	22478
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6364	206501	75540
საგადასახადო ვალდებულებები	25877	52494	12912
გამოუმუშავებელი შემოსავალი	26247	1891	1972
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	92970	36	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	660660	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	626498	387623	382349

სულ ვალდებულებები	1751019	889861	686028
საკუთარი კაპიტალი			
საქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო	2367265	3202313	1789315
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1486473	3713257	3842595
გადაფასების რეზერვი	0	136643	136643
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	3853738	7052213	5768553
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3853738	7052213	5768553
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5604757	7942074	6454581
სულ მოკლევადიანი აქტივები	5604757	4975716	3498331
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1751019	490718	289827

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	1944411	6280427
საქონლის გაყიდვიდან	1944411	4737125
მომსახურების გაწევიდან	0	1543302
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-357400	-1062260
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადაღებული დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1587011	5218167
სხვა საოპერაციო შემოსავალი	78127	244159
დასაქმებულთა ანაზღაურება	-210012	-2235161
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-110097	-106761
საპროცენტო შემოსავალი	0	63800
საპროცენტო ხარჯი	-52969	0
იჯარის ხარჯი	0	-36000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1374636	-1083771
სულ საოპერაციო ხარჯები	-1669587	-3153734
საოპერაციო მოგება	-82576	2064433
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-1292	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-3897	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გად	0	14871
მიღებული დივიდენდები	0	819727
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-87765	2899031
მოგების გადასახადის ხარჯი	-20676	-165475
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-108441	2733556

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-108441	2733556

მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:

მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	-108441	2733556
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)	0	0
მოგება / (ზარალი)	-108441	2733556

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:

მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	-108441	2733556
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-108441	2733556
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	7052213	5768553
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'ს	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-3090034	-1449896
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3853738	7052213

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
სოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (სოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ;	0	1657713
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა	-2439462	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	0	0
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-2439462	1657713
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2622974	965261
	183512	2622974